ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა:

ფაქტები „ქართული ოცნების“ ცრუ იმედისა და ყალბი პროპაგანდის წინააღმდეგ

სამოქალაქო იდეა

NED NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY
SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD

CAPS unlock CENTRAL ASIAN POLICY STUDIES

2023 წლის ივლისის ბოლოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 28 ივლისს ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინთან შეხვედრაზე პირველად გახდა ცნობილი სტრატეგიული თანამშრომ-ლობის გაფორმების შესახებ. პრემიერის იმავე განცხადებაში ნათლად გამოჩნდა, რომ გადაწყვეტილება არა ერთობლივი მუშაობის შედეგად, არამედ პეკინის ინიციატივით იყო მიღებული, რაც შესაბამისად აისახა ხელმოწერილ დოკუმენტში.

კერძოდ, საქართველოს პრემიერმა პრეზიდენტ სიძინპინთან შეხვედრაზე განაცხადა:

> *„ბატონო პრეზიდენტო, უდიდესი პატივი და სიამოვნებაა დღეს თქვენთან შეხვედრა. ეს ჩემთვის ისტორიული ვიზიტია. პირადად თქვენდამი ვარ დიდად მადლობელი. ძალიან დიდი პატივი მერგო და უზომოდ მადლობელი ვარ ჩინეთ-ში მოწვევისთვის.... საქართველო დიდად აფასებს ჩინეთთან მეგობრობას და პარტნიორობას და მადლობელი ვარ ჩვენი ურთიერთობის სტრატეგიულ პარ-ტნიორობამდე ამაღლების შესახებ* ***თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილ-ებისთვის,*** *რაც მიმაჩნია კონკრეტული შედეგებისა და სარგებლის მომტანი იქნება ორივე მხარისთვის.”*

2023 წლის 31 ივლისს, პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ლი ციანთან შეხვედრაზე ოფიციალურად გამოცხადდა საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სტრატეგიული პარტნიორობა და საჯარო გახდა შესაბამისი დოკუმენტიც.

> „მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ძალიან ***დიდი პატივი გვერგო იმ გადაწყვეტილებით, რომელიც ჩვენს ურთიერთობას სტრატეგი-ული პარტნიორობის დონემდე ზრდის....*** მიმაჩნია, რომ ეს კონკრეტულ შედეგებს მოუტანს საქართველოსა და ჩინეთს.... დიდად ვაფასებთ ჩინეთთან მეგობრობას და თანამშრომლობას. მოუთმენლად ველი თქვენთან მუშაობას და საუბარს, კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა!" - ირაკლი ღარიბაშვილი.

საქართველოს ხელისუფლების აბსოლუტურად წარუმატებელი საგარეო პოლიტიკის ფონზე, ოფიციალური თბილისისთვის ჩინეთთან სტრატეგიული ურთიერთობები წარმატების დემონსტრირების ერთადერთ საყრდენად იქცა და შესაბამისად, სამთავრობო პროპაგანდის მანქანაც სრული დატვირთვით ამუშავდა. აგიტაცია-პროპაგანდა განსაკუთრებით გაძლიერდა ირაკლი კობახიძის ჩინეთში ვიზიტისა (იანვარი, 2024) და მალავე, მისი პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ.

მთავრობის რეალური საგარეო პოლიტიკური ხედვა და ორიენტირებიც სულ მალევე, მთავრობის ადმინისტრაციაში 23 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე გამოჩნდა. ახალმა პრემიერმა, ირაკლი კობახიძემ, მთავრობის მეთაურის რანგში, მისი ერთ-ერთი პირველი გამოჩენა ჩინეთსა და აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის შედარებას მიუძღვნა. პროპაგანდისტული ამოცანით ჩინეთი წარმოაჩინა, როგორც უფრო სანდო და დაინტერესებული პარტნიორი:

> *"აშშ-სთან გვაქვს მრავალწლიანი პარტნიორობის ისტორია, ჩინეთთან შარშან დამყარდა სტრატეგიული პარტნიორობა, თუმცა გავიმეორებ, ორივე შემთხვევაში გვაქვს სტრატეგიული პარტნიორობა და გვინდა ამ ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება...*
>
> *რაც შეეხება ჩინეთის დამოკიდებულებას – ჩვენ ვხედავთ ძალიან დიდ ინტერესს ამ ურთიერთობების გაღრმავების კუთხით, რაც კონკრეტულ ნაბიჯებშიცაა გამოხატული....ყველა კუთხით ჩანს ჩინეთის დამოკიდებულება ქვეყნის მიმართ და იმის მიმართ, რომ მათ სურთ სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება.*
>
> *რაც შეეხება აშშ-ს – აქ წლების მანძილზე გვქონდა გარკვეული სისუსტე, გარკვეული გამოვლინება იმისა, რომ თითქოს შესუსტებული იყო სტრატეგიული პარტნიორობის კუთხით ინტერესი.... სავაჭრო-ეკონომიკური კუთხითაც არ გვაქვს მაინც და მაინც კარგი ვითარება...*
>
> *ჩვენი მხრიდან არის მაქსიმალური სურვილი, გაღრმავდეს სტრატეგიული პარტნიორობა როგორც აშშ-სთან, ისე ჩინეთთან, დანარჩენი დამოკიდებულია ქვეყნებზე."*

ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადის პოლიტიკური კაპიტალიზაციის გარდა, ხელისუფლებას დიდი მოლოდინი ჰქონდა, რომ ჩინეთიდან პირდაპირი ინვესტიციები, ხოლო საქართველოდან ჩინეთში ექსპორტი გაიზრდებოდა. მათი პროპაგანდისტული გზავნილებიც მუდმივად იმ სულისკვეთების მატარებელია, რომ იზრდება ჩინეთთან ვაჭრობა, გვაქვს მზარდი

ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკური თანამშრომლობის არნახული აღმავლობა და სხვა.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოგიდგენთ სტრატეგიული თანამშრომლობის თითქმის ერთი წლის თავზე პირველი შედეგების ანალიზს.

სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს ერთობლივ განცხადებაში ვკითხულობთ:

ეკონომიკური განზომილება

2.1. მხარეები მიესალმებიან ბოლო წლებში ორმხრივი ვაჭრობის მდგრად ზრდას და გამოხატავენ მზაობას მის შემდგომ მატებასთან მიმართებით, მისი სტრუქტურის ოპტიმიზაციასთან, სასაქონლო ნომენკლატურის გაფართოებასთან, **საქართველოდან ჩინეთის მიმართულებით საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ზრდასთან** დაკავშირებით.

2.3. მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას ხელი შეუწყონ ორმხრივ ინვესტიციებსა და ვაჭრობას: ...

2.4. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და საქართველო 2018 წლიდან იღებენ სარგებელს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებიდან, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების სფეროში. ქვეყნები გააგრძელებენ თანამშრომლობის გაღრმავებას ხსენებული შეთანხმების ფარგლებში; ურთიერთხელსაყრელი შედეგების მისაღებად მხარს დაუჭერენ ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს ჩინეთისა და საქართველოს საჯარო და კერძო სექტორის სუბიექტებს შორის; აქტიურად მოხდება ხსენებული შეთანხმების გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოყენება.

2.5. მხარეები გამოხატავენ მზაობას ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის კომისიის შემდეგი სხდომის ჩასატარებლად, რათა **გაძლიერდეს ინფორმაციის გაზიარება ვაჭრობის, ინვესტიციების,** ინფრასტრუქტურისა და სხვა მიმართულებით თანამშრომლობის მიზნით ხსენებული კომისიის ფორმატში, რაც გააძლიერებს ორმხრივი ურთიერთობების ხარისხსა და ეფექტურობას.

ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ, პარლამენტში სამთავრობო პროგრამის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენის დროს.

გთავაზობთ, მისი მოხსენებიდან ამონარიდს:

- საქართველოსა და ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ ერთობლივი განცხადების მიღების შემდეგ, მნიშვნელოვნად გააქტიურდა ორმხრივი თანამშრომლობა პოლიტიკის, ეკონომიკის, ტურიზმის, ტრანსპორტის, განათლებისა და ხალხთა შორის კონტაქტების მიმართულებით.
- საანგარიშო პერიოდში ორ ქვეყანას შორის გაიმართა მაღალი დონის ვიზიტები: საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც, 2023 წლის 31 ივლისს, მიღებულ იქნა „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს ერ-თობლივი განცხადება სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ“.
- საანგარიშო პერიოდში გაიმართა **საქართველო-ჩინეთის მთავრობათაშორისი ეკო-ნომიკური კომისიის მორიგი სხდომა**. განხილული იყო სატრანსპორტო დერეფნები, ტვირთების გადაზიდვა შუა დერეფნის მეშვეობით და საქართველოს ლოგისტიკური შესაძლებლობები, **საქართველოში ინვესტირების შესაძლებლობა**, **ქართული ექსპორტის გაზრდა ჩინურ ბაზარზე** და ჩინელი ტურისტების რაოდენობის გაზრდა საქართველოში.
- 2023 წლის მონაცემებით, ორმხრივმა სავაჭრო ბრუნვამ 1.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.
  (სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება ივნისი, 2023 - მაისი, 2024)

პირდაპირი ინვესტიციები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორ-მაციით, სადაც ასახულია საქართველოში, 1996 წლიდან დღემდე, ქვეყნების მიხედვით განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ირკვევა რომ ჩინეთიდან პირველი პირდაპირი ინვესტიცია 2002 წელს განხორციელდა. მაქსიმალური წლიური ინვესტიცია იყო 2014 წელს 220 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. კონკრეტულად 2014 წელს ინვესტიციების ასეთი ზრდის ძირითად მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ 2015 წელს, თბილისში ჩატარებული ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ოლიმპიური სოფელი ჩინურმა კორპორაციამ, „ჰუალინგმა“ ააშენა. ამ უკანასკნელთან საქართველოს მთავრობამ ხელ-შეკრულება 2012 წლის 30 მარტს გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ მინიმუმ 150 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირების, 3800 სპორტსმენის განთავსებისთვის საჭირო 50 000მ^2 საცხოვრებელი ფართის კორპუსების, მინიმუმ 200 ნომრიანი 5 ვარსკვლავიანი სას-ტუმროს, 100 000მ^2 ფართობის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრისა და 50 000 მ^2 ფართის საც-ხოვრებელი ბინების აშენების ვალდებულება აიღო.



სულ 2002-2023 წლებში ჩინეთიდან განხორციელდა 716,0 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია, საიდანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ ერთ, 2014 წელზე მოდის. აქვე შედარებისთვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ინვესტიციების საერთო ოდენობით აღნიშნულ პერიოდში უსწრებენ არა მხოლოდ ევროკავშირი 8 446,1 მილიონი აშშ დოლარით (11,8-ჯერ მეტი ვიდრე ჩინური ინვესტიციები), დიდი ბრიტანეთი 4 068,1 (5,7-ჯერ მეტი) და აშშ 1 837,7 (2,5 ჯერ მეტი), არამედ ისეთი მცირე ზომის ქვეყნებიც, როგორიცაა ლუქსემბურგი 862,45 მილიონი, ჩეხეთის რესპუბლიკა 988.22 მილიონი, ნიდერლანდები 3 255 მილიონი (4,5-ჯერ მეტი) და მრავალი სხვა.

2017-2023 წლებში "ქართული ოცნების" ერთპარტიული მმართველობის პერიოდში იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომლებსაც საქართველოში განხორციელებული აქვთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩინეთი 10-ეულშიც კი ვერ ხვდება (მე-14 ადგილი). ჩინეთს ამ ჩამონათ-ვალში ისეთი ქვეყნებიც კი უსწრებენ, როგორიცაა ლუქსემბურგი და მალტა.



ბოლო წლების ყველაზე რთულ პერიოდში, კოვიდ პანდემიის დროს, 2020-2021 წლებში ჩინეთი უარყოფითი მაჩვენებლებით ოფშორული ზონების 5-ეულის გარემოცვაში მოექცა.



შედარებისთვის, იმავე პერიოდში, მიუხედავად მთელ მსოფლიოში მინიმუმამდე დაყვანილი ეკონომიკური აქტივობებისა, დიდი ბრიტანეთიდან კვლავაც შემოვიდა 908,95 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, ნიდერლანდებიდან 349,98 მილიონი აშშ დოლარი, აშშ-დან 117,88 მილიონი დოლარი. ვფიქრობთ კონტრასტი გატანილ ინვესტიციებთან თვალსაჩინო და ბევრის მთქმელია.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, ინვესტიციების მხრივ, სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, წინა წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, **მოსალოდნელი ზრდის ნაცვლად, კლება გვაქვს.**





2024 წლის I კვარტალში, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, პირდაპირი ინვესტიციები შემცირებულია 29,4%-ით, ხოლო 2023-ის IVკვ-2024-ის I კვ წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 32.6%-ით.

აქვე გთავაზობთ შედარებას პრემიერ კობახიძისა და ქართული ოცნების მიერ დაწუნებულ სტრატეგიულ პარტნიორებთან.

პირდაპირი უცხოური ინვეტიციები ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ *(2023 IV კვ.-2024 I კვ.)*

საგარეო ვაჭრობა

პარლამენტში პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ, სამთავრობო პროგრამის შესრულ-ების შესახებ მოხსენების წარდგენის დროს განაცხადა, რომ ***„2023 წლის მონაცემებით, ორმხრივმა სავაჭრო ბრუნვამ 1.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.“***

ასე მოკლედ და ლაკონურად. პროპაგანდის მეთოდების მინიმალური ცოდნის პირობებშიც კი, გასაგებია, რომ გზავნილი სრულად მანიპულაციურია. საქართველოს ზომის ეკონომიკის ქვეყნისთვის მილიარდ ექვსასი მილიონი დოლარი ძალიან დიდი რიცხვია. ის კიდევ უფრო შთამბეჭდავია ღარიბი მოსახლეობისთვის. განცხადება მანიპულაციურია, რადგან მხოლოდ ამ მონაცემის ცოდნა არაფრისმომცემია, თუკი არ ვიცით გაუმჯობესდა თუ გაუარესდა სავაჭრო ბრუნვა წინა წლებთან შედარებით, ასევე რა წილს მოიცავს სამიზნე ბაზრები და როგორია სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურა. მაგალითად, შესაძლებელია იგი მთლიანად უკავშირდებოდეს ნედლეულის გატანას, მზა პროდუქციას და სხვა.

თავისთავად, რიცხვი - 1,6 მილიარდი აშშ დოლარი, რამდენად კარგადაც არ უნდა ჟღერდეს არაფრისმთქმელია. არც ზრდას გვაჩვენებს, არც კლებას, არც მის წონას და წილს ქართულ ეკონომიკაში, არც მის თანაფარდობას სხვა სახელმწიფოებთან.

არადა თავის მოხსენებაში პრემიერს სულ რამდენიმე წუთი რომ დაეხარჯა ჩინეთთან სავაჭრო ბრუნვაზე, აუცილებლად ეტყოდა პარლამენტის წევრებს, რომ

- 2023 წელს ჩინეთთან სავაჭრო ბრუნვა (იგივე იმპორტისა და ექსპორტის ჯამი) 2022 წელთან შედარებით **შემცირდა 220 მილიონი აშშ დოლარით.**
- ასევე, იმასაც მოგვიყვებოდა, რომ სავაჭრო ბრუნვაში უფრო მეტად, **59%-ით, ქართული პროდუქციის ექსპორტის წილია შემცირებული, თუმცა ჩინეთიდან იმპორტი გაზრდილია 18%-ით.**
- დეპუტატები იმასაც მოისმენდნენ, რომ **2023 წელს უარყოფითმა სავაჭრო სალდომ** (სავაჭრო სალდო არის სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის), პირველად ჩინეთთან ვაჭრობის ისტორიაში, გადააჭარბა 1 მილიარდ აშშ დოლარს.

	2022	2023	ზრდა/კლება %
იმპორტი	1 126 319,9	1 329 167,4	18,0%
ექსპორტი	736 768,9	310 873,1	-57,8%
სავაჭრო ბრუნვა	1 863 088,7	1 640 040,5	-12,0%
სავაჭრო ბრუნვის სალდო	**-389 551,0**	**-1 018 294,2**	

ციტატა კობახიძის ამავე მოხსენებიდან:

„საანგარიშო პერიოდში გაიმართა **საქართველო-ჩინეთის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის მორიგი სხდომა**. განხილული იყო სატრანსპორტო დერეფნები, ტვირთების გადაზიდვა შუა დერეფნის მეშვეობით და საქართველოს ლოგისტიკური შესაძლებლობები, **საქართველოში ინვესტირების შესაძლებლობა**, **ქართული ექსპორტის გაზრდა ჩინურ ბაზარზე** და ჩინელი ტურისტების რაოდენობის გაზრდა საქართველოში.“

რეალობა არის ის, რომ

- **ჩინეთიდან იმპორტი გაიზარდა და საერთო სავაჭრო ბრუნვის 80%-ს გადააჭარბა**.
- **ექსპორტი მკვეთრადაა შემცირებული ადგილობრივი ექსპორტის კლების ხარჯზე.** (ადგილობრივი ექსპორტი მოიცავს როგორც ქვეყანაში წარმოებული, ისე საზღვარგარეთიდან იმპორტირებული იმ საქონლის ექსპორტს, რომელმაც განიცადა არსებითი სახეცვლილება ან ქვეყნის ფარგლებში გადამუშავების შედეგად მოხდა მისი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა.)



საგარეო ვაჭრობა. საქართველო-ჩინეთი 2009-2024



ჩინეთთან სტრატეგიულად დაძმობილების შემდგომი პერიოდის (9 თვე, 2023 წლის სექ-ტემბერი-2024 წლის მაისი) შედარება გასული წლების ანალოგიურ პერიოდებთან.





რომ შევაჯამოთ რას ველოდით, რას გვპირდებოდნენ, რას გვეუბნებიან ოცნების აგიტატორ-პროპაგანდისტები და რა შედეგებია, ასეთ სურათს მივიღებთ:

ინვესტიციები შემცირდა

საგარეო ვაჭრობა შემცირდა

ადგილობრივი ექსპორტი შემცირდა

გაიზარდა მხოლოდ ჩინეთიდან იმპორტი

! **და კიდევ ერთი - ამასობაში აფხაზეთის ე.წ. ეროვნულმა ბანკმა ჩინეთის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა მიიღო.**